№ 65 მარტი 24, კვირა 1891 მარტი 24, კვირა № 65

# ივერია

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891 1877—1891

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, ი. გარანჟოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: წვრილად სტრიქონი რვა კაპიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 მარტს.

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკავეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В**ъ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

**თანახმად განაჩენისა ქუთაისის სამოქალაქო საბჭოისა,** ცხა თებერვალს შემდგარისა, ამით ეცხადება შენობათა ქ. ქუთაისში პატრონებს, რომლებზედაც ირიცხება პირველს იანვრამდის ამა წლისა დასაფასებელი გარდასახადი (Недоимка оцѣночнаго сбора), რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნებიან ჯარიმისაგან, რომელიც ქალაქს მათგან ერგება, თუ გარდასახადს შემოიტანენ ოთხის თვის განმავლობაში, დღიდან ამა განცხადებისა. (3—1)

---

ტფილისი, 23 მარტი

ერთი დღე არავის შერჩებაო, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოუვიდა სახელ განთქმულ თავ. ბისმარკს. ბედმა ამ გამოჩენილ კაცსაც უმუხთლა. ერთი წელიწადი ძლივს გავიდა მას აქედ, რაც თავ. ბისმარკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ და, რა ნაირად შეიცვალა მისი ყოფა! სამსახურის დროს რას არ აკეთებდა პოლიტიკაში გაწვრთნილი სახელმწიფო მოხელე. მთელი ოც-და-ათი წელიწადი მარტო თვითონ, სხვის დაუკითხავად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს, შექმნა მძლავრი იმპერია, დღე და ღამ იმის ზრუნვაში იყო, რომ გაემაგრებინა დიდის შრომით აგებული შენობა. ეხლა? ეხლა სულ სხვაა. მივიწყებული, მიყურებული, აღარავის ყურადღებას აღარ იქცევს ეს ცოცხლად დამარხული „რკინის კაცი". ათასში ერთხელ მისი ხმა ისმის ერთს პატარა პროვინციალურ „ფურცელში", ათასში ერთხელ გამოისვრის ისარს შვილდის მაღლვით და ამაზედაც უწყრებიან, როგორ გაჰბედე და ხმა ამოიღე, ნება არა გაქვს გაჰკიცხო დღევანდელი შინაურისა და საგარეო პოლიტიკის მსვლელობაო.

უფრო ამის გამო დიდი აყალმაყალი ასტეხეს გერმანიის ზოგიერთმა გაზეთმა და იმასაც-კი ჰქადაგებენ, სრულიად ჩამოვართვათ უფლება თავ. ბისმარკს თავისუფლად აზრების გამოთქმისა, ავლაგმოთ მისი გესლიანი ენა და ამით სრულიად ავიცილოთ თავიდამ ამ უსიამოვნო კაცის კრიტიკაო.

რომ იტყვიან, რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო, სწორედ ბისმარკის საქმეც ასე გამოდის. როცა ბისმარკი თვითონ უფლებდა და ბატონობდა, ხშირად მიჰმართავდა ხოლმე უსიამოვნო კაცების ალაგმვას, ეხლა-კი ლამის თავის თავზედ იწვნოს გემო ასეთის ალაგმვისა და პირში ბურთის ჩაჩრისა.

უველა ეს კარგი, მაგრამ განა განათლებითა და კულტურით განთქმულ გერმანიაში ისე გაველურდა ჟურნალ-გაზეთობა, ისე ძირს დაიწია საზოგადო აზრმა, რომ ჰლამიან ნება არ მისცენ თავისუფლად წარმოსთქვას აზრი კაცმა და მერე იმისთანა კაცმა როგორიც არის თავ. ბისმარკი? ბისმარკი ხომ უბრალო ვიგინდარა არ არის. მთელი ორმოცი წელიწადი ბისმარკი გულ-მოდგინედ სწავლობდა საპოლიტიკო საგნებს, სწერდა ნოტებს, აწესებდა კანონებს, ადგენდა ინსტრუქციებს, ამბობდა სიტყვებს და სხვ., განა ამ გვარად შრომას მიჩვეულ კაცს შეუძლიან ხმა ჩაიკმინდოს და სიტყვა არ ამოიღოს, როდესაც რომელიმე კანონი, ან განკარგულება მთავრობისა არ მოეწონება? ეს ყოვლად შეუძლებელია.

იმის მაგიერად, რომ მთავრობამ და საზოგადო მოღვაწეებმაც გამოიყენონ თავ. ბისმარკის ჭკუა და გამოცდილება, გამოიყენონ იმისი რჩევა-თათბირი, ისინი დაჟინებით გაიძახიან, თავ. ბისმარკს მოვუსპოთ ღონე საზოგადოებასთან ლაპარაკისა გაზეთების საშუალებითაო. ალბად, ვინც ამას ამბობს, მეტად აქვთ გული ნატკენი ბისმარკისაგან, რომ ასეთს ღონის-ძიებათა ძებნაში არიან. ერთმა ჟურნალმა ტყუილად არ უსაყვედურა ბისმარკს: მთელს შენ სიცოცხლეში იმასა სცდილობდი, რომ არც საზოგადოებას და არც კერძო კაცს თავისუფალი აზრი და აზროვნება არა ჰქონოდა, სიკაპასით სდევნიდი და სულ იმის ცდაში იყავი, რომ გარს მონები გხვეოდაო. ძველის ბატონის მასხარად აგდება და ქვით ჩაქოლვა ხომ მზაკვარის, მონის საქმეა და ასეც დაგემართა შენაო. მართლაც უველაზე ცხარედ ის გაზეთები ლანძღავენ დიდება-მოკლებულს ბისმარკს, რომელთაც სული მარტო ბისმარკისაგან ედგათ. კანცლერს რომ მათთვის ჯამაგირი არ ეძლია, ჭლექია ნებსავით მალე სული ამოხდებოდათ და მადლობის მაგიერ ასეკი გადაუხადეს სიკეთე.

ასეთი ამბავი, როგორც პირველის მინისტრის გადაყენებაა სამსახურიდამ, რასაკვირველია, ევროპაშიაც ხშირია, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსდის იქ აუკრძალონ იმათ თავისუფლად აზრების გამოთქმა. ამის მაგიერ სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. იმათის გამოცდილებით ჰსარგებლობენ და უფრო დიდის მხნეობით და მოხერხებით ეწინააღმდეგებიან ოპოზიციის მომხრენი გადამდგარისათვისაც არა-სასიამოვნო სამინისტროს. ინგლისელები სირცხვილით დაიწვიან, რომ ვინმემ გაჰბედოს და სთქვას: გლადსტონს ავუკრძალოთ საქვეყნოდ თავის აზრების წარმოთქმაო. იტალიის ნამინისტრალი კრისპი დღეს ერთ საუკეთესო დეპუტატად ითვლება პარლამენტში. მაგრამ რაც იმ ქვეყნებში ჩვეულებრივი ამბავია, გერმანიაში ჯერ, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივი არა ყოფილა.

ა. ფრონელი

---

## ახალი ამბავი

*** 1882 წელსა გამგეობამ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისამ იშუამდგომლა ბ-ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ 35% წმინდის მოგებისა, რომელიც საზოგადო საქციროების დასაკმაყოფილებლად ინიშნება, მარტო ბანკის წევრთა დამფუძნებელთა კრებას ექვემდებარებოდეს და ამის შესახები მუხლი წესდებისა შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორი ერთმანეთზე მოყოლილი მორიგი საზოგადო კრება ბანკისა 2/3 ხმით მოიწადინებს შეცვლას და როცა ამ ორს ერთმანეთზე მოყოლილ მორიგ კრებაზე დაესწრება ნახევარი მაინც მთელ წევრთა რიცხვისა. ეხლა ქალაქდი მოსვლია ბ-ნ გუბერნატორს, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრს სამძიმოდ დაუნახავს დამტკიცება გამგეობისაგან ამ საგანზე წარდგენილობისა.

*** მას აქეთ, რაც ნიხრი შემოიღეს, საჩივარი გაისმოდა იმის შესახებ, რომ უფრო მდარე ხორცისა და პურის გაყიდვა დაიწყესო. ეს საჩივარი საბჭოს კრებაზედაც გამოაცხადა ზოგიერთმა ხმოსანმა წარსულს ორშაბათს.

ეს სამდურავი ჰმართლდება კიდეც, რადგან სანიტარის ექიმმა ბ-ნმა ვართანოვმა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, მეპურეები ნიხრის შემოღების შემდეგ პურს გამოუმცხვარს ჰყიდიანო. ამ დღეებში ექიმს ვართანოვს ჩამოუვლია მეპურეები, 150-მდე გამოუმცხვარი პური მოუგროვებია და საბავშვო თავ-შესაფარში გაუგზავნია იქაურ ყმაწვილებისათვის სუხრების გამოსაცხობად.

გამგეობას ამის გამო მიუწერია ქალაქის სავაჭრო პოლიციის მოხელეთათვის: დაათვალიერეთ ფურნე-თორნეები და, სადაც-კი შეჰნიშნოთ წესის დარღვევა, ოქმი შეუდგინეთ და დამნაშავე პასუხის-გებაში მიეცემაო.

*** ამას წინად საბჭომ აირჩია თავის დელეგატად ქალაქის ცხენის რკინის გზის წეს-რიგის თვალ-ყურის სადევნებლად ხმოსანი ბ-ნი პაშკევიჩი. გუშინ ბ-ნ პაშკევიჩს ქალაქის გამგეობამ ჩააბარა დელეგატობის უფლება და თან ის ინსტრუქცია, რომელიც საბჭოს მიერ დამტკიცებულია და რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ქალაქის დელეგატმა. ცხენის რკინის გზის საზოგადოებას რომ ხელ-შეკრულობა აქვს ქალაქთან, დელეგატის ინსტრუქციაშიაც ამ ხელ-შეკრულობას აქვს დათმობილი უფრო მეტი ადგილი და ბ-ნმა პაშკევიჩმა იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ საზოგადოებამ არ დაარღვიოს თავისი პირობები.

იმედია, ბ-ნი პაშკევიჩი გულიანად მოეკიდება თავის ახალ მოვალეობას და ყურადღებას მიაქცევს ამ რკინის

---

## ფელეტონი

### მესტვირე

საქართველო მოვიარე,
ვადიდე და ვაძლიერე;
ზღვის ოდენა შაირები
სტვირით გავაქვეყნიერე.
დედა-ენაც გავამდიდრე,
კილო გავუმშვენიერე;
გავატკბილე, გავათაფლე,
გავამაღლ ნაყოფიერე:
ტანჯულს გული მოვუშაქრე,
მკვდარი მოვასულიერე;
ჰკვიანს გონი მივუმატე,
უფრო გავამეცნიერე;
უნუგეშო ვანუგეშე,
უჭკვო მოვაგონიერე;
ვაჟი კაცსა ვაჟკაცობის
წადილი გავუძლიერე;
ლაჩარი გავალომგმირე,
უგრძნო გავაგრძნობიერე;
მრუდს ლალატი შევაზიზღე,
გულქვა გავალმობიერე!
ვირს წიხლი მოვაშლევინე,
ბრიყვი გავაგულხმიერე;
ეშმაკს გული დავუდაღე,
ულვთო მოვალვთისნიერე;
მტრობა დავწვი, დავანელე,
ძმობა გავაგულძლიერე;
მშვიდობას თაყვანი ვეცი,
კეთილი ვაბედნიერე;
სიყვარული გავამეფე,
მადლი გავასახიერე;
მოძმე მოძმეს შევაყვარე,
გავაკეთილ-გონიერე,
ერთობა და სიყვარული
გავუმრავალ-ჟამიერე...
ეგრე სტვირო, ჩემო სტვირო,
უკარ და ილვთისნიერე:
ავი-მავნე შეარცხვინე,
კარგი მოიმადლიერე,
მძინარას ძილი დაუფრთხე,
უქმი გაასაქმიერე!..

დ. მაჩხანელი

### ფიქრიანი

კაცს რომ ფიქრი არა ჰქონდეს, შენი მტერი რომ კაცას ყოფნა იქნებოდა წუთისოფელში: მაშინ ხომ ვეღარც ენა იენავებდა და დამუნჯდებოდა მთელი კაცობრიობა. სამართლით რომ ვსთქვათ, ენა უფრო ცოდვიანია ფიქრზე: ფიქრს რა ცოდვა აქვს, მანამ საქმედ არ გადიქცევა? არაფერი. შემწყვდეული ერთს ძვლის კოლოფში, ფიქრი ფიქრობს თავისთვის ჩუმად. კაცის ფიქრი რასაკვირველია,—კოწიწობს, რაღაც კოშკებს აშენებს, მემრე ისევ არღვევს, მაგრამ არც ასაშენებელი მასალის ჩქამი-ჩქამი ისმის შენების დროს და არც დარღვევის ჩხრიალ-გრიალი. რადგანაც ენა მყვირალაა, კიდეც იმიტომ არის იმის ყვირილის ხამზღვრად გალავნები გაკეთებული: ამას იქით ნუ გადააბოტებ, ენავ, თორემ „დაშავდებიო"! ფიქრისთვის-კი ჯერ მიჯნები არავის დაუნიშნავს: ის თავის საქმეს ჩუმ-ჩუმად აკეთებს... მე-კი ღმერთმა დამიხსნას და ზოგის თავში ეს ფიქრი ხანდახან კვამლად გადიქცევა; ამ კვამლს ოცნებას ვეძახით. თქვენს მტერს, რაც ეს კვამლ იმას, ვის თავშიაც ასტყდება, ავპრდება, საქმეს დაჰმართებს: თვალებს უპრმავებს, ყურებში ბამბას უცობს. მე თითონაც მინახავს უსაქმო, ოცნებიანი ადამიანი, უზრუნველად ტახტზედ გადაშხლართული, ორივე ხელები კისერზე მოუხვევია და შესჩერებია ჭერსა, იქ აცეცებს ამღვრეულს თვალებს. ნეტავი ლუარსაბივით ბუზებს მაინცა სთვლიდეს, ეს რაც უნდა იყოს საქმეა. არა, ის თუმცა ჭერს უცქერის, მაგრამ თავისივე ფიქრით, თავისს ფიქრს დასჩერებია და ამბობს: იჰ, იჰ, რა ლამაზი ფიქრები მიტრიალებს თავშიო!..

ოცნებიანი თავ და პირველად, უნდა ვსთქვათ, ძლიერ ზარმაცია, ამასთანავე მსუნაგი და უეჭველად ღარიბი. დიაღ, ღარიბია და თავდაპირველად გამდიდრებაზედ ოცნებობს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, იმაზე, თუ რა კარგია სიმდიდრე. ამიტომ თავი და ბოლო ოცნებიანის ფიქრისა — „ახ, ნეტავი" არის. ეს „ახ ნეტავი" ასულდგმულებს იმას, მანამ ცოცხალია და, როცა კვდება, პირველად მაშინ შეიცვლება მისი ფიქრი „ახ ნეტავისა" ამ გვარად: „ახ, რომ ვერაო". საქმიანს კაცს ოცნებისათვის სადა სცა-

გზის უწესოებას, რომელიც არა იშვიათია და ტფილისის გაზეთებსაც არა ერთხელ ჰქონდათ აღნიშნული.

** ნაბრძანებია და რამდენჯერმე გამოცხადებულია, რომ მეპოვოსკეები და მედროგეები ვალდებულნი არიან დროგი და პოვოსკა დაჰფარონ სახურავით, როცა ქალაქის ქუჩებში მტვერნაგავი, ქვიშა, აგური და სხვა რამ მიაქვთ, მაგრამ აბა გაიხედეთ ჩვენს ქუჩებში და ნახეთ, თუ სადმე ასრულებენ ამ ბრძანებას. ბ-ნმა პოლიცმეისტერმა ცალკე ბრძანებაც-კი გამოსცა ამის შესახებ და უბრძანა ბოქაულებს, ამ უწესოებას თვალი ადევნეთო, მაგრამ ეს ბრძანება ბრძანებადვე დარჩა და აქამდე ამსრულებელი არავინ გამოსჩენია. მეპოვოსკეები და მედროგეები არა სტოვებენ ძველს წესსა და რჯულს და უწინდებურ ანაგვიანებენ და ამტვერიანებენ ქალაქის ქუჩებს. სიტყვით ნაბრძანებია, მაგრამ საქმით-კი ისე ნაგვით სავსე პოვოსკამ სად გაიაროს, რომ ქუჩებს არ მოსდოს და ზოლ-ზოლად ალაგ-ალაგ არ დაჰყაროს ქვიშა, მიწა და ათასი სხვა ნაგავი. აბა ამაზედ არის ნათქვამი აი: სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ღვარი.

** რუსულის სცენის არტისტს ან. ნ. კრემლევს განუზრახავს საჯარო ლექციების წაკითხვა საზოგადოდ ხელოვნებისა და კერძოდ სასცენო ხელოვნების შესახებ. ლექციების შინარსი რიგიანად არის შედგენილი. სულ ხუთს ლექციას წაიკითხავს ლექტორი: 24, 26, 28 და 31 მარტს და 2 აპრილს. ლექციები წაკითხულ იქმნება „სამუსიკო კრუჟოკში", რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე იმყოფება, № 6. თითო ლექცია ჰღირს 1 მან., ხოლო ხუთივე ერთად—3 მანეთი. ლექციების კითხვა უეჭველ ხსენებულს დღეს საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ დაიწყება.

** ჰერცოგი ორლეანელი, რომელიც გრაფ ფილიპე დე-ნეველის სახელით მოგზაურობს, გუშინ ამ თთვის 23 კავკავში გაემგზავრა. კავკავიდგან ჰერცოგი გაემგზავრება ასტრახანს და იქიდგან ბაქოსა და იმიერ კასპიის მხარეს.

** ამას წინად ყასბებს ეარნაზოვსა და ქობულოვს ქალაქის საყასბოში დაეკლათ ორი ღორი და დაემალათ საყასბოს ბეითალ ისპანდიაროვისთვის, რომელსაც დაკლულ ღორის ხორცი ვერ გაესინჯა. ბ-ნმა ისპანდიაროვმა გაიგო თუ არა ეს, მაშინვე ამ ყასბებს ოქმი შეუდგინა და გადასცა მომრიგებელ მოსამართლეს ბ-ნ ზუბალოვს. მოსამართლემ ამ თთვის 19 განიხილა ეს საქმე და ორივე ყასაბს შვიდ-შვიდის დღით პოლიციაში დაჭერა გადაუწყვიტა.

** ბექათუბანი: ოცს მარტს, როცა საქონლის მატარებელი, № 44 მივიდა ბექათუბანში და მაშინისტის თანაშემწე პ. დიმიტრიევი ჩამოიდა ლოკომოტივიდამ მაშინის დასათვალიერებლად, ბექათუბანს ზევით ახალის ლიანდაგის მკეთებელთა ააფეთქეს ლაღუმი. ლაღუმიდამ ამოსროლილი ქვა, ესე 20 გირვანქის ოდენა, დაეცა მარცხენა მკლავზე დიმიტრიევს და მოსტეხა. დიმიტრიევმა ვერ გაუძლო ქვას, წაიქცა და გაჩერებულ მაშინას თავით დაეტაკა და თავი გაიტეხა. მაშინვე მოწვეულ იქმნა სადგურის უფროსი და ჟანდარმი საქმის გამოსაძიებლად და ოქმის შესადგენად. მოწვეულ იქმნა აგრეთვე იქვე მცხოვრები ახალ ლიანდაგის მოსამსახურე ფერშალი ივანოვი, რომელმაც დიმიტრიევს შეუკრა მოტეხილი კლავი. საღამოზედ დაშავებული მატარებლით გაგზავნეს ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში.

** დ. ზესტაფონი: არ გაგონილა ისეთი უსუფთაობა და სიბინძურე, როგორც ჩვენს დაბაშია. არა ერთხელ იყო ამის გამო ლაპარაკი „ივერიაში", მაგრამ ყურადღების მიმქცევი აქამდის არავინ გამოჩნდა. ასეთი უსუფთაობა, ამდენი ნაგავი და ამ გვარი ავი სუნი, რასაკვირველია, აუარებელ ბუზებს გააჩენს და ბუზებს ვინლა ჩივის, რომ სხვა-და სხვა ავადმყოფობას არ გააჩენდეს და არ გვიმსხვერპლებდეს. საკვირველი ისაა, რომ თვითონ მკვიდრნი არაფერს ჰფიქრობენ თავის ჯან-მრთელობის გამო და ეზოსა და კარ-მიდამოს არ სწმენდნენ და არ ასუფთავებენ. ამ შემთხვევაში მკვიდრთა კეთილ-დღეობის დამცველნი მაინც უნდა ზრუნავდნენ რასმე, თორემ თუ ამ გვარი უყურადღებობა დიდხანს გასტანა, მთელი ჩვენი დაბა ბოსელს დაემსგავსება და ადამიანთა საცხოვრებლად აღარ ივარგებს.

** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა) ამ თთვის პირველ რიცხვებში სწორედ რომ გაზაფხულის დარები იდგა ჩვენში: ხეხილები აყვავილდა, ხეები მწვანედ ირთვებოდა, მინდორი ბალახით იმოსებოდა და ჩვენც დიდს იმედში ვიყავით, რომ დროიანად გაგვიზაფხულდა და ზამთარს მოვრჩითო. დიდი იმედი გვქონდა ხილის მოსავლისა, მაგრამ, საუბედუროდ, იმედი გაგვიცრუვდა. მარტმა მარტული არ დაიშალა: თოთხმეტს ამ თთვეს ცამ წარბი შეიკრა, აცივდა და არე მარე თოვლმა დაჰფარა, თოვლს შემდეგ ყინვები დადგა და ხეხილები ძლიერ დააზიანა.

ამას გარდა ჩვენში ყოველგან ყელის ტკივილი და მუცლის არის გავრცელებული. აქა-იქ ისეთი ავადმყოფობაცაა, რომელიც ინფლუენციას ძალიან ჰგავს.

** თელავი: პარასკევს, 15 მარტს, აქ საშინელი მიწის ძვრა იყო. მიწა იძრა სამჯერ: პირველად საღამოს 9 საათსა და 40 წუთზედ, ისე ძლიერ, რომ სახლებიდგან გარედ გამორბოდნენ და ჰყვიროდნენ: „ვაიმე, გვიშველეთ, სახლი იქცევაო"! მეორედ იყო საღამოს 10 საათზედ და მესამედ ნაშუაღამევის 2 საათზედ. ბოლონდელი ისე ძლიერი არ იყო, როგორც პირველი. ასეთი საშინელი მიწის ძვრა ჯერ აქ არავის ახსოვს. ფეხზედ მდგომნი მთვრალ კაცსავით დაბარბაცა. მეორე დღეს ხალხი, მისალმების მაგიერ, ერთი ერთმანეთს იმას ეკითხებოდნენ: „წუხელ როგორ მშვიდობით გადარჩითო".—ზიანი არა მოუტანია-რა, მხოლოდ ზოგიერთ დუქნის ყაფაზიდგან შუშები გადმოჰყარა და ერთ სახლშიაც აკვნით ყმაწვილი გადმოაბრუნაო.

მიწის ძვრამდე ქარი ჰქროდა.

** მარტის 20 ღამით, ანდრეევის ქუჩაზე, პოდპორუჩიკთ: ალექსი ვილბერგს, ადამ გენიკს და გერასიმე ევანგელიდს სადგური გაუტეხეს და წაიღეს 57 მანეთის ნივთეულობა.

** 21 მარტს ელისაბედის ქუჩაზე ნახიჩევნის მცხოვრებელმა კაზიმ-მამედ-ოღლიმ 10 მან. ღირებული სამოვარი მოჰპარა პეტრე პლეგანსკის. ქურდს მალე მიუსწრო პოლიციელმა და საპოვრიანად შეიპყრო.

◆◆

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები, წყალ-წასაღები ამბები)

მკითხველს, უეჭველია, ეხსომება, რომ ამას წინად ბ-ნმა კ. მესხმა ჩვენს გაზეთში ერთი მარტივი და ყველასათვის ცხადი წერილი დაჰბეჭდა და სთქვა, რომ საქართველოში, რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, 1,500 ლამაზი ქალი მაინც იქნება, იმისთანა ქალი, რომელნიც სილამაზესთან ერთად მოქალაქებრივი გრძნობითაც იქნებიან შემკულნიო. ასეთმა ქალებმა რომ მოინდომონ და თვითოეულმა მათგანმა წელიწადში 5 მანეთი შეაგროვოს, რვა წლის განმავლობაში 60,000 მანეთი მოგროვდება და ამ ფულით ადვილად შეგვიძლიან ქუთაისში თეატრი ავაშენოთო. ბ-ნმა მესხმა დასამტკიცებლად იმისა, რომ ეს სრულიადაც შეუძლებელი არ არის, მოიყვანა მაგალითი ჩეხელ ქალებისა, რომელთაც თეატრის ასაშენებლად მარტო ერთს წელიწადში ერთი მილიონი შეაგროვეს. როგორც ჰხედავთ, აზრი ჩინებულია და სასურველიცაა, რომ საქმითაც განხორციელდეს. ვერ დავფარავთ, რომ ერთს საქმეში-კი შესცდა ბ-ნი მესხი, სახელდობრ იმაში, რომ სილამაზე ახსენა. ეს, რასაკვირველია, საწყენად დაურჩებათ იმათ, ვინც გარეგან სილამაზესთან ცოტად, თუ ბევრად, შორს არიან, მაგრამ ვისაც სულიერი სილამაზე აქვთ და საზოგადო საქმისადმი გული შესტკივათ. ერთის სიტყვით, სილამაზე რომ არ ხსენებულიყო ამ საქმეში, უკეთესი იყო თითონ საქმისათვის, მაგრამ შეუცდომელი და უნაკლულო ამ ქვეყნად სხვა რა არის, რომ მაინცა და მაინც მესხი იყოს. ვინ იცის, ეგებ მესხი იმასაც ჰფიქრობდა, რომ, როგორ შეიძლება, საქართველოს რომელსამე კუთხეში დუხჭირი და სილამაზეს მოკლებული ქალი მოიძებნოსო...

ეს იყოდა ეს მესხის შეცდომა. სხვაფრივ მას არაფერი უთქმელი არ უთქვამს, არაფერი შეუძლებელი და უსაშველო არ დაუვალებია ჩვენი ქალებისათვის. მაგრამ ზოგიერთებმა ეს ამბავი სიცილად არ იკმარეს. სიცილი, მართალია, ბაჟ დადებული არ არის და არც სასურველია, რომ იყოს. ხოლო ისიც-კი ცხადია, რომ სიცილ-მასხარაობასაც თავისი დრო და ალაგი აქვს. სიცილი და ლაზღანდარობა იქ, სადაც საქვეყნო და საზოგადო საქმეზეა ლაპარაკი, ჩვენის აზრით, შეუფერებელ შეუხამებელია და, თუ გინდათ, უმართებულოც. მესხის აზრს თანაგრძნობა და ხელის-შეწყობა უნდა და არა მასხარად აგდება და გაბიაბრუება. ასეთის ჩინებულის აზრის მასხარად აგდება თავის აგდებაა და თავის აგდება-კი ვერაფერი საქებური საქციელია. ამას გარდა სხვისი ნათელი აზრის ნაბშირით მოსვრა და დაბნელება, სხვისი წალმართი აზრის გაუკუღმართება სულისა და გონების უკუღმართობის მეტს არას მოასწავებს. მესხმა ის ხომ არა სთქვა, რომ მე ამიშენეთ სახლიო, არამედ ის, რომ თეატრი გავიკეთოთო და ამ აზრით მიჰმართა ქართლ-კახეთისა და იმერეთ-სამეგრელოს მანდილოსნებს, რომ თუ გინდათ, საზოგადო საქმის გაკეთებისა და გულშემატკივარობის უნარი გამოიჩინოთ, ახლა გაქვთ დროო. არ ვიცით და ვერ მივმხვდარვართ, რა არის აქ სასაცილოდ ასაგდები, რა არის გასაკიცხი, რა არის ისეთი, რომ ბ-ნი მესხი ჯვარზედ აცვეს. ასე რომ წავიდეთ, ამ გზით რომ ვიაროთ, ყველაფერს რომ კილი ვუძებნოთ, ხომ მთელი ჩვენი სიცოცხლე მასხარობაში და ბერიკობაში გამოგვილამდა! იქნება ჩვენ იმდენად ჭკუა მოკლე და გონება ჩლუნგი ვიყოთ, რომ ვერ მივხვდით, ვერ გავიგეთ, რასაც მესხი ამბობს? არა, ჩვენ გავიგეთ ის, რაცა სთქვა და არ გაგვიგია, რაც არ უთქვამს და რის თქმაც, შეიძლება, არც-კი უფიქრნია. მაგრამ რას იზამ?

ავსა კაცსა ავი სიტყვა
ურჩევნია სულსა, გულსა...

მართალია, მესხის აზრი გაჰკილეს, გაჰკიცხეს, სასაცილოდ აიგდეს და თითონ მესხსაც ცილი შესწამეს, მაგრამ ნათელმა აზრმა, ნათელმა სიტყვამ თავის გზა მაინც არ დაჰკარგა. ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელს №-ში დაბეჭდილი წერილი ერთის პატივცემულის მანდილოსნისა, რომელიც მოწონებისა და თანაგრძნობის ბანს აძლევს ბ-ნ მესხს. ეს მანდილოსანი ამბობს: სილამაზითაც რომ არავინ მოვეხიბლოთ, თხოვნა-მუდარითაც რომ არავინ შევაწუხოთ, განა ისე-კი ვერ შევიძლებთ წელიწადში ხუთი მანეთი მოვისაკლისოთ და საზოგადო საქმეს შევსწიროთო. ხელები ხომ გვაქვს, კერვა შეგვიძლიან, ქარგვა შეგვიძლიან და ქსოვა ვიცითო. ნუ თუ ხუთი მანეთის საღირალს ვერაფერს გავაკეთებთ და ვერ მოვმჭირნებთ მთელის წლის განმავლობაშიო!

კარგი ნიშნებია... სჩანს ქართველი ქალის ძლიერი სული კვლავ აღდგომას აპირებს. ღმერთმა ინებოს...

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!

დაამტკიცეთ, რომ ქვეყნის სასიკეთო საქმეში მამაკაცთან ერთად თქვენც შეგიძლიათ შრომა და ღვაწლი გასწიოთ! დაამტკიცეთ, რომ მართლის მთქმელსა და კეთილი აზრის მქადაგებელს-კი არ „ამოაფხაჭნით" თვალებს არამედ კეთილი აზრის ორგულსა და გამაუკუღმართებელს!

**

---

...ლიან, ან ოცნებას რა ხელი აქვს იმასთან!?..

ფიქრიანი და მოსაზრებიანი კაციც ძლიერ უფრთხის ოცნებას,—უფრთხის იმიტომ, რომ ოცნება—ჯერ ერთი ტვინს ულაყებს კაცსა და მეორე—საქმეს აცდენს. ფიქრიანი კაცი მხოლოდ ფიქრობს და მაგრადაცა ფიქრობს. რას ფიქრობს?—ჰმ, განა ცოტა რამ არის საფიქრებელი ქვეყანაზე! ნაბიჯს ვერ გადასდგამ, რომ ფიქრი არ იყოს საჭირო. ფიქრიანი კაცი სწორედ ასე იქცევა. რა ქნას: ჰხედავს, რომ მწერიც-კი, რომელსაც ბუნებამ დაატყო ტანზე თავი და თავზე თვალები, თავის შესაფერებად ფიქრობს. მოდი და შენ, ადამიანი, გაჩენილი, დაბადებული მეფიდ—ნუ იფიქრებ. სირცხვილიც იქნებოდა! დიაღ, ფიქრიანი, მოსაზრებიანი ადამიანი ყველაფერზე ფიქრობს, რაც-კი რამ ცხოვრებაში ხდება; არაფრისათვის არც თვალებს, არც გონებას არ ზოგავს, ოღონდ-კი სიმართლე, სინამდვილე შეიტყოს, თავისა და ქვეყნის სასარგებლო რამ გაიგოს; ეძიებს მიზეზს, უკვირდება რა შედეგს. გაღარიბდა ფიქრიანი კაცი. გაიგებს რადაც გაღარიბდა, გამდიდრდა; ამის მიზეზიც ესმის. სოფელს უყვარს ფიქრიანი კაცი,—ესმის რადაც უყვარს იგი სოფელს და ამიტომ უფთხილდება თავის ფიქრს არ დავკარგო, არ გავასუსტო ჩემის გონების ძაფები; თორემ პატივისცემას დავკარგავ, ესტიბარი გამიტყდებაო... შემოვარდა სოფელში ერთი უცხო კაცი მშიერ-ტიტველი, გამართა ვაჭრობა და ორს წელიწადზე გამდიდრდა. ჭკვიანი კაცი უცქერის ამ ამბავს და ფიქრობს, ფიქრობს და ესმის რაც ამბავია აქა, სწუხს; უფიქრელნი-კი ამ ამბავს ისე უცქერიან, როგორც მზის ჩასვლა-ამოსვლას, გათენ დაღამებას, როგორც მდინარის ქვებზე ჩხრიალს... დაეცა სოფელს მტერი, დაფთხნენ სოფლელნი, დაანებეს თავი თავიანთ სარჩო საბადებელს და მირბიან ტყეში დასამალავად, თითო-ოროლა კაცი-ღა თუ დარჩა თავიანთ სახლში და ისინიც ცალკ-ცალკე ებრძვიან მტერსა, ვერ მოუხერხებიათ ერთმანეთს მხარი მისცენ. იტანჯება ფიქრიანი კაცი და იძახის: „ვინც გაიქცა, რად გაიქცა, უბედურ თავის ამაგში სიკვდილი არ ერჩივნა?! ან თქვენ ვინც სოფელში დაჰრჩით, რა ღმერთი გიწყრებათ და ერთმანეთს არ მიეშველებით, ერთად არ იბრძოლებთ! რა დაჰრჩებათ გახიზნულთ ბოლოს სინანულისა და ცრემლის მეტი, ხომ სიმშილი დაჰლევს ბეჩავებს. ერთიც ვნახოთ მტერმა მოიწონა ჩვენის სოფლის მდებარეობა და მოიწადინა აქ დაბინავება!.."

მოვიდა სოფელში დაბეჭდილი ფურცელი. ფიქრიანმა კაცმა ამ ფურცელს ხელი მიატანა: თუ არას მარგებს ამის წაკითხვა, ხომ ვიცი არაფერს მაწყენსო; მოდი წავიკითხო, რა სწერია შიგ. დაიწყებს გულ-მოდგინედ, მოსაზრებით კითხვას, თვითეულს სიტყვას უფიქრდება. კითხულობს ამ დაბეჭდილს ფურცელში იმას, რომ ცხრას ზღვასა და ცხრას მთას იქით თურმე ზღვის ძირში რკინის გაყვანას აპირობენ... იქვე, შორს ქვეყანაში გამოჩენილა ერთი ნასწავლი კაცი, რომელიც უბრალო მასალებიდამ შეაზავებს, გააკეთებს რძეს, წყალს, ერბოს, კვერცხს, პურს, ხორცს. „აბა, ჩვენი სიცოცხლეც სიცოცხლეა რაღა?! დაიძახის ფიქრიანი კაცი ხალხს: აი რა ამბები ყოფილა იქ, სადაც ნასწავლი ხალხია!.." ფიქრიანი კაცი ლაპარაკობს, ხალხი ყურს უგდებს, და თვითონაც, თუ დიდხანს არა, ცოტა ხანს მაინც ფიქრზე მოდის და მადლი ემართება იმის გონებას.

— აი დიდება შენს სახელს, უფალო დამბადებელო, სამას სამოცდა ცხრაო წმინდა გიორგი! რა ამბები ყოფილა! ჩვენზე უგერგილო და უხეირო ვინ იქნება, ორღობიდამ ტლაპო ვერ მოგვიშორებია, რომ ურემმა მშვიდობიანად გამოიაროს შინამდე. ჩაეფლობა შიგ ურემი და ასი კაცი მოუნდება იმის ამოწევას. ამ ასმა კაცმა რომ მოიწადინოს-კი, ერთს დღეს შეუძლიან გააკეთოს ეს გზა ისე, რომ ფეხიც არას წამოჰკრას კაცმა, განაღამც ლაფში ჩაფლულის ურმისა და საქონლის ზიდვაში მოიწყვიტოს წელი. ფიქრიანი კაცი არა დროს უსაქმოდ არ დადგება; პურის ჭამის დროსაც-კი საქმეს აკეთებს: ისეთს რასმე იფიქრებს, რომ უეჭველად, თუ საქმედ აქცია, გამოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკულმართობა ამ ბოლოს დროს მაინც ჩვეულებად გადაიქცა. სხვას თქვენი ჭირი წაუღია, წალმართს ასპარეზზე მუშაკნი, რომ არ უკულმართობდნენ. ამას წინად სტამბაში მესტამბეებს ასოები აერიათ და ამ არევამ, რასაკვირველია, არეულობა მოახდინა და არეულებამ კიდევ ის, რომ ხელის მოსაწერს განცხადებაში „ივერიის“ მაგიერად „აირევი“ დარჩა დაბეჭდილი. ამ ამბავს არავინ არ აურევია, არავინ არ გადურევია, გარდა „Тифлисскій Листокъ“-ისა, რომელიც უმისოდაც ვერ იყო აურეველი და გადაურეველი. ეს ამბავი ამ ლილა-ხანა გაცვეთილმა გაზეთმა დაიხვია ხელზე, ჰკრა ბუკსა და ნაღარას და დიდის ზარითა და ზეიმით აუწყა თავის მკითხველებს, რომ „ივერიამ“ სახელი გამოიცვალა, „აირევი“ დაირქვა და თავის ხელის მომწერლებს თვითონვე აფრთხილებს, რომ ჩემის კითხვისაგან აირევითო. როგორც ჰხედავთ, დიდი მახვილობა და დიდი დევ-გმირობა გამოიჩინა „Тифл. Лист.“-მა. იშოვნა მასალა, რის შესახებაც უნდა სწეროს! მაშ რა ექმნა? განცხადება აღარ ჰქონდა იმდენი, რომ № გაევსო, ჭორებიც შემოაკლდა, ამის გამო აირია, დავთარი დაეკარგა და არევის გამოც მორთო საუბარი. არავისთვის, რასაკვირველია, საკვირველი არ არის, რომ სტამბაში ასოები აირიოს და ბეჭდვაში შეცდომა მოხდეს, მაგრამ ის-კი საკვირველია, რომ ასეთმა უბრალო და ჩვეულებრივმა ამბავმა გაზეთი არია და გადარია. ხოლო, რაც შეგვეხება ჩვენ, არც ეს გვიკვირს, რადგანაც ვიცით ვისთანაცა გვაქვს საქმე. მაშ რა ექმნათ, როცა საფანელი და სალუქი შემოაკლდათ, თუ ალა-ბულასა და ლობე-ყორეს არ მოსდებოდნენ!..

დათიკო ვერმიცანიშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. რამდენი ხანიც გადის, თანდათან უფრო იღვიძებს გონების თვალით ჩვენი ქართველობა და იჩენს ზრუნვასა და მეცადინეობას, რომ შეერთებულის ზრუნვითა და მეცადინეობით გაიკვალოს და დაადგეს წარმატების გზას. ქართველობა მტკიცედ დარწმუნდა, რომ თუ არ თავისივე შრომა-მეცადინეობით და უპარით ვერას ოდეს ვერ ეღირსება წარმატებასა და კეთილ-დღეობას. ამის გამო ყოველის კუთხის მცხოვრები ჩვენის ქვეყნისა სცდილობს თავის შეძლებისა გვარად თანაუგრძნოს და ხელი მოუმართოს იმ დაწესებულებათა, რომელთა ვალია ზრუნვა ერთბაშად მთელის ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა გონებრივსა თუ ეკონომიურის განვითარებისა და წარმატებისათვის.

სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ გონებით გამოფხიზლებისა და მოძრაობაში დანარჩენ თავიანთ მოძმეთა შორის მეტად უკან დარჩენილია ჩვენი ლეჩხუმი და მისი მკვიდრი. ჩვენი საზოგადოება მეტად ხელ-მოჭერილი გახლავთ და არ თანაუგრძნობს ყველა იმ დაწესებულებათა, რომელნიც ილვწვიან ჩვენის ერის გონების განთიადის მოახლოვებისათვის. ვერც ერთს ამ გვარ დაწესებულებაში სამწუხაროდ ჩვენს მაზრას თავისი ხვედრი წვლილი ვერ შეუტანია, თავისი სახელი ვერ აღუბეჭდია საზოგადო მოღვაწეთა სიაში. აი, თუ გნებავთ, ამის დამასაბუთებელი ამბავიც: თორმეტი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისში დაარსდა ერთი ფრიად მაღალი და დიდ-მნიშვნელოვანი საზოგადოება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი.“ თვით სახელ-წოდება ამ „საზოგადოებისა“ ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი და მძიმე საქმე აქვს ნაკისრი, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენის ხალხის გონებით გაღვიძებისა და განვითარებისათვის, თუ-კი ამ „საზოგადოებამ“ შესძლო და მიაღწია თავის უწმიდეს და უკეთილშობილეს აზრს. „საზოგადოებას“, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, აზრად აქვს წიგნის ცოდნის და თავდაპირველის სწავლის გავრცელება ქართველებში.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავის აზრის მისაღწევად შემდეგ ღონის-ძიებასა ხმარობს: რამდენადაც შეძლება ნებას აძლევს, სცდილობს, სადაც სკოლებია გამართული, იქ იმათ ხელი გაუმართოს და შეეწიოს, სადაც საჭიროა, ახალს სკოლებს აარსებს, ეხმარება ანუ თითონ ჰმართავს თავის ხარჯით. ამას გარდა ჰზრუნავს წიგნთ-საკითხავებისათვის, ჰბეჭდავს სახელმძღვანელოებს და სხვა სახალხო საკითხავ წიგნებს; ადგენს სამწიგნობროს ანუ წიგნთ-საცავს, ყოველს ღონის-ძიებას ჰხმარობს, რომ სკოლებს გამოცდილი და თავის ხელობაში განვითარებული მასწავლებლები უშოვოს. შეუძლიან კიდევ საპედაგოგიო კურსები და მასწავლებელთა კრებანი ჰმართოს, სახალხო სკოლებში უფრო ნიჭიერი შეგირდები აიყვანოს და უკეთესს სასწავლებელში აღზარდოს და სხვ.

ზემოდ ჩამოთვლილს საგნებს, თუ-კი დაუკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ ეს საზოგადოება სახუმრო დაწესებულება არა ყოფილა, მსუბუქი ვალდებულება არა ჰქონია ნაკისრი, არამედ მეტად მძიმე და რთული. მაშასადამე, რამდენადაც აზრი და საგანი ამ დაწესებულებისა დიდი და მრავალმნიშვნელოვანია, იმდენად მის განხორციელებას დიდი შრომის უნარი და ხარჯი უნდა, იმდენად თითოეული გონიერი ქართველი ვალდებულია გვერდში ამოუდგეს ამ საზოგადოებას, და არ დაიშუროს მისთვის შემწეობა და დახმარება რითაც-კი შეუძლიან.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მაზრა განზედ გამდგარა და ამ საზოგადოებას არავითარ შემწეობასა და თანაგრძნობას არ უწევს. თითქო ეს მაზრა ჩვენის ქვეყნის ნაწილს არ შეადგენდეს და დანარჩენ ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა ბედ-უბედობას ამაზედაც გავლენა არა ჰქონდეს. ლეჩხუმსაც ჰყავს ზემოხსენებულს „საზოგადოებას“ თავისი წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს გაიცნოს მკვიდრთა აზრი და მოღვაწეობა საზოგადოებისა და გამოიწვიოს მათის მხრითაც თანაგრძნობა და დახმარება. მაგრამ სამწუხაროდ ამ უკანასკნელს ვერ მოუხერხებია თავის მოვალეობის შესრულება, ვერ მოუპოვებია აქაურს საზოგადოებაში ის თანაგრძნობა, რომელიც შეეფერება ამ დიდ საქმეს. ძლივს მთელს მაზრაში ცამეტი კაცი უშოვნია ამხანაგად ზემოხსენებულის საზოგადოებისათვის, მაგრამ ვაი ამისთანა შოვნას: სამს იმავე წელს გამოურიცხავს თავი საწევრო ფულის შეუტანელობისა გამო, და დანარჩენთ მეორე თუ მესამე წელს ისევ დაუნებებიათ თავი წევრობისათვის. ხოლო ამ საზოგადოების სასარგებლოდ გამართვა წარმოდგენისა, ან ლოტარიისა, თუ ისე გასართობ საღამოებისა, ხომ სულ მოუხერხებელი საქმეა ამ მაზრაში თანამგრძნობელთა და დამხმარებელთა შოვნის სიძნელის გამო. დროა ლეჩხუმმაც გამოიღვიძოს ამ მხრით, მიჰხედოს დანარჩენ მაზრებისა და დაბა სოფლების მკვიდრთ და მათებრ ამანაც გაუწიოს დახმარება და შემწეობა იმ დაწესებულებათა, რომელნიც ილვწვიან ჩვენის ერის წარმატებისათვის.

ქაიხოსრო გელოვანი

## დღევანდელი ტკივილი გორისა

ამ მარტის 24-ს, კვირა დღეს, გორში უნდა მოხდეს ქალაქის მოურავის, ანუ თავის არჩევა. ამ თანამდებობის მსურველთა სახელ-გვარები უკვე არა ერთხელ იყო გამოცხადებული ქართულ და რუსულ გაზეთებში. მათ შორის უფრო მალი-მალ ისმოდა სახელები დიმიტრი მუსხელიშვილისა, მიხეილ ერისთავისა და ისაია გულიშამბაროვისა. პირველს აქ, გორში, ბევრნი ვერ იცნობენ, მაგრამ მცნობი, თუ უცნობი ამ პატივცემულ კაცს ყველანი ერთნაირად აქებს. აქებენ მის ადამიანობას, პატიოსნებას, განათლებას, მხნეობას და გამოცდილებას. ყველას დიდი იმედი აქვს მისი და ფიქრობენ, რომ ჩვენი უბედური გორი მის ხელში გაბედნიერდება. ეჭვი არ უნდა, რომ ამისთანა საერთო ხმას ცოტარამ საფუძველი მაინც ექნება და თუ ეს ასეა, სულით და გულით ვინატრით, რომ ჩვენს საზოგადოებას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც გაეწოდოს მისთვის მეგობრულად ხელი და მალე დაეყენებინოს იგი თავის საქალაქო საქმეების მმართველად.

მიხეილ ერისთავი ახალგაზდა კაცია!.. მართალია, ჯერ იგი არავითარ საზოგადო საქმეში არ ჩარეულა, საზოგადო მოღვაწის უნარი ჯერ არსად არ გამოუჩენია, მაგრამ ეს სრულებით იმის მომასწავებელი არ არის, რომ შემდეგშიაც ესეთივე იქნება. სწავლა-განათლება მას უმანის სამეურნეო სკოლაში აქვს დამთავრებული. საქმის, შრომის მოყვარე კაცია და ერთგული მუშაკი მიწისა. ის სრულებით არაფრით არ წააგავს იმ თეთრ ფაცებიან „კავალრებს“, რომელნიც ყოველ წამს წკიპარტს იცემენ ახალ-ახალ მოდურ ტანისამოსზედ და დილიდამ საღამომდისინ მხოლოდ ის აქვთ საფიქრებლად, თუ რა უთხრან და რითი გაართონ თავიანთ ქარაფშუტა „დამები“. არა ჰგავს იგი არც იმ კუდა-ბზიკა ახალგაზდა თავად-აზნაურებს, რომელთაც თავიანთ ცხოვრების საგნად დაუდევიათ: გძელი ჩერქეზული ჩოხა, პატარა ხანჯალი, მოძმეთათვის დამზადებული ხმალი, ცხენი და კინტოური ქეიფლოთობა. ეს არის ზრდილობიანი, განათლებული და შრომის მოყვარე შინა კაცი. როგორი იქნება იგი თავის ოჯახის გარედ? შეიძლებს თუ არა ქალაქის პატრონობას, მოურაობას?.. ამაზედ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი... სხვები-კი დაბეჯითებით ამბობენ: თავის ჭკვიან და გამოცდილ მამის ხელმძღვანელობით ის კარგად მოახერხებს ქალაქის საქმეთა წარმოებასაო.

ამ ორზედ უფრო დაახლოვებით გორელები იცნობენ ის. გულიშამბაროვს. იგი ჯერ ერთი, რომ აქაური ბინადარია და მეორეც კიდევ ისა, რომ კაი ხანია რაც აქაურ საქალაქო გამგეობის წევრია. ამ ნაირად, როგორადაც მისი ადამიანობა, კაცური კაცობა, ისე საზოგადო მოღვაწეობა ყოველმა გორელმა კარგად იცის. იციან სად და რამდენი სწავლა-განათლება მიუღია, რა გვარ სამსახურში უწვრთნია წინად მას თავისი გრძნობა-გონება და ბოლოს თვალწინ უძევთ ყველას, რაც-კი გაუკეთებია, როგორადაც საქალაქო გამგეობის წევრსა. საჭიროა დავუმატოთ, რომ ბ-ნ გულიშამბაროვს უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი გამგეობაში და, როგორც ისმის, არა მცირედი გავლენაც აქვს თავის ამხანაგებზედ. რომელს სასარგებლო საზოგადო საქმეს მოახმარა მან ესეთი თავისი შეძლება, მდგომარეობა და გავლენა?.. პასუხი ამ კითხვისა არის თვით აწინდელი მდგომარეობა ჩვენი ქალაქისა. არა მგონია, რომ სადმე, ანუ რომელსამე ქვეყნის კუთხეში ისე უბედურად, უზრუნველად იყოს ღვთის ანაბარას მიგდებული ქალაქი, როგორადაც იყო აქამომდე ჩვენი „ქართლის მეთაური“: უსუფთაო, ნაგვით სავსე ქუჩები, უმსგავსად მოწყობილი ეზოები და საჭირო ადგილები, ათას ნაირი ბოროტ-მოქმედებანი ბაზარ-დუქნებში, და სხვა მრავალი საძაგლობანი დიდი ხანია გაპარპაშებულან გორში და დღესაც ჩვენ თვალწინ არიან ტურფად გადაშლილნი. რას აკეთებდნენ ქალაქის მოურავები და მათი თანაშემწე-გამგეობის წევრნი? ქალაქის შემოსავალს მუყაითად ჰკრებდნენ და უფრო იმისთვის, რომ მუყაითადვე თავისი მოზრდილი ჯამაგირები ელოთ. ამ გვარად გამოდიოდა, რომ ესენი-კი არ იყვნენ ქალაქისათვის დანიშნულნი, არამედ ქალაქი იყო გაჩენილი მათთვისა!.. ამისთანა ბრწყინვალე მოღვაწეობას გამგეობის წევრთა ჩვენი საზოგადოება, იმედია, ჯეროვანის ყურადღებით დაასაჩუქრებს.

პროვინციელი

22 მარტი

## პასუხად ბ-ნ ქ. მესხს

ზრდილნი არიან იმერნიო და თქვენკი, ბატონო, ცოტა არ იყოს უმართე-

---

გება და ან-კი რას არ აქცევს იგი გამოსადეგს ფიქრს საქმედ. მალე, ძალიან მალე, სჭამს პურს მადიანად და ჰკიდებს საქმეს ხელს მადლიანად. ცოცხალი, მეტად ცოცხალი კაცი, სასიამოვნო სანახავია ფიქრიანის საქმის კეთება. იმისი საუბარი, იმის სიარული, ყველაფერი—და თუ მათქმევინებთ—ძილიც. ფიქრიანს რომ სძინავს და ჰნახოთ, მაშინვე ეტყობა, რომ დაღლილს დასძინებია, თვალს ატყუებს და, თუ ადგა, მადლიანად ადგება, მადლიანად მოიქცევს მარჯვენას; იგი არა ჰგავს იმ უფიქრელს ადამიანს, სიფხიზლის დროსაც რომ სძინავს; თვითონ ძილია, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, და როცა დაეძინება, ძილს კიდევ მეორე ძილი დაერთვის, დაეთხლაპება თავ-ყურში. გდია ბზის ტომარასავით, გდია დამპალ ყუნჭივით, გდია როგორც ლორი წუმპეში, გდია როგორც ლოქო ლამში, როგორც დათვი სოროში; ერთის სიტყვით, გდია და გდია, გდია და ხვრინავს; აქვს მაღლა ჰერი, ჩააქვს დაბლა დედამიწა იმის ხრანტალ-პრანტალს, იმის ხვრინვა-გვრინვას; ზარბაზანი რომ ყურებთან დაუცალო, ვერ გაიგონებს უზრუნველი, მაგრამ თავის ხვრინვა ყურებში ესმის და გულზედაც მალამოდ ესმის, როგორც ნანა დედისა,—ცაში ანგელოზის გალობა... იმაზე მეტი სასჯელი არა მიერგება-რა ფიქრიანს, როგორც ერთს ჭერს-ქვეშ ყოფნა უფიქრელ-უზრუნველთან. მისი სიფხიზლეც აწუხებს, და ძილი ხომ შეაძრწუნებს. დიდხანს ყელში ბრაზ-მორეული ყურს უგდებს იგი უფიქრელის ხვრინვას; რამდენჯერმე კიდეც ჩასძახებს: „რა არი, რა ამბავია, კაცო! ძილი შეიძლება და მაგეთი?“ თუ გაიგონა—ხომ რა კარგი, თუ არა და—წიხლითაც ლამაზად ჩააზელს, რათა ალეხილნეს მისნი მკვდარნი და ხარმაცნი თვალნი და სდუმდეს ხმა მისი უგემური. უფიქრელს, ცოტა არ იყოს, კიდეც ეჯავრება ფიქრიანი, ეჯავრება, რადგანაც იმათი ბუნება ერთმანეთს არ ეწყება, არ ეთანხმება. ხშირად ფიქრიანს უფიქრელი სულელსაც ეძახის: მაგან რა შავი ქვა იცის, ხურმა რა ხილიაო, ამბობს იგი. უფიქრელი—უნდა არ დავივიწყოთ ხანდახან ალიღინდება და მისი ღიღინი ფიქრიანის ვინაობასა სწვდება, იმის კაცობას ეკამათება. აი რასა ღიღინებს უფიქრელი ცოლის გასაგონად:

რასა ჰბოდავს, რასა ჰროტავს
ფიქრიანი მათიაო,
ფიქრი, ზრუნვა რას მიქვია,
თუ მაქვს ლუკმა მჭადიაო!
შენ რას მეტყვი, დედაკაცო,
კიდევ ძილი მწადიაო;
ამ ვერანას, ვერ ვიშორებ,
სულ წამწმებზე მადგიაო.
მე დავწვები—და შენ კიდე
საქამანდო ჩადგიაო.
რას ღლონღო, დედაკაცო,
რასა ჰფიქრობ ამაზედა;
რად ივიწყებ, ხომ ერთი დღის
ფეტვიც გვიდგა ჰალაზედა.
ძალიან კარგი მოსულა
იმ დღეს ენახე ჩავლაზედა?
მოდი კიდე დავიძინებ,
მეძინება ძალაზედა!
ახლა—ცერცვი და ლობიო
ჩათესილი ყანაშია;
ერთი ჩაფი ღვინო გვეყო
ამდნის ხარჩოს ჭამაშია.

ფიქრიანი რას დაგება ისე, რომ უფიქრელს თვალ-ყური არ ადევნოს: ყურს უგდებს თავისებურად, ჰკვიანურად და უპასუხებს დინჯად, უფიქრელის მოულოდნელად:

რასა ჰბოდავ, შე შავ-ბნელო,
შე ტვინ თხელო და შე ბეცა:
მანამ მაგას იფიქრებდი
თავში რად არ დიდი გეცა!
მითქვამს, გეტყვი კიდევაცა:
ბევრი მოხან, ბევრი თესე,
თავის დროზე ყანა მომკე,
თავის დროზე ცელი ლესე;
ფხიზლად იყავ, გაიღვიძე,
ტვინზე ფიქრი დააკვესე,
შენთვის გამოსადეგს გირჩევ
ჩემო ძმაო, ჩემო სესე!

ეს მოულოდნელი პასუხი მოულოდნელად, უცაბედად გამოტყვრენილი, შეარცხვენს, გააწითლებს უფიქრელს; იგი თვალებს დაბლა დედამიწისავე გააპარებს და დავარდნილ ვირივით ყურებს ძირს დაუშვებს, დაუშვებს ისე, რომ ყურების ბლარტუნის თავი აღარა აქვს, მაგრამ დაფიქრდება კი ლობიოს საჭამანდივით.

ვაჟა-ფშაველა

ბულოდ მოგვექცეით ქალებს. რა სათქმელია განა, ვინც ლამაზნი ხართ, აიღეთ თავი, გაიწოდეთ ხელი და აგროვეთ ფული მამა-კაცთაგან ქუთაისში თეატრის ასაშენებლადაო. თუ ერთნი შეურაცხყოფას მოგვაყენებენ, მეორენი პატივისცემით მოგვეკიდებიანო. ჩვენის აზრით, უფრო ზრდილობიანად და თავაზიანად რომ მიგემართათ ქალებისათვის, ბევრად უკეთესი იქნებოდა და თვით საქმეც უკეთესად გაკეთდებოდა. თქვენკი ჩვენის დაცინვისა და დამცირების კილოთი დაგიწერიათ თქვენი წერილი. ჩვენ დამცირებად მიგვაჩნია ის, რომ, თქვენის აზრით, ქალები უნდა გამოვიდნენ საზოგადო და საქველ-მოქმედო ასპარეზზედ მარტო სილამაზით და არა იმ მოვალეობით, რომელსაც კაცობრიობა მოითხოვს და ადამიანობა სამღთოკალად გვდებს, რომ ქალმაც და კაცმაც ერთნაირად ვწიოთ უღელი ჩვენს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამ ნაირი სამსახური შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც არის აღჭურვილი შინაგანის ღირსებით და არა მარტო გარეგნობით. ამისათვის ბ-ნ მესხს უნდა მიემართა ქალის ადამიანურის ღირსებისათვის და არა იმისთანა წარმავალისა და ფუჭის ღირსებისათვის, როგორიც არის სილამაზე გარეგანი, შვენიერება სახისა. ნუ დაივიწყებთ, ბ-ნო მესხო, რომ ქალიც ადამიანია. დარწმუნდით, როდესაც ჩვენმა ქალებმა თეატრისთვის მილიონი შეაგროვეს, იმ დროს ისინი საზოგადოებას სილამაზით-კი არა ჰხიბლავდნენ, არამედ სამშობლოს უანგარო სიყვარულით.

რასაკვირველია, დიდად სასურველია, რომ ქუთაისში, მაგ მშვენიერსა და კოპწია ქალაქში, ქართული თეატრი აშენდეს, მხოლოდ იმ გზით-კი არა, რომელიც თქვენ დაასახელეთ თქვენს წერილში.

დიდ-ლიახველი ქართველი ქალი

20 მარტს 1891

# რუსეთი

სასულიერო მთავრობამ ამ ჟამად ერთი ფრიად საყურადღებო საგანი უნდა გადასწყვიტოს. აქვთ თუ არა განქორწინებულთ ნება, რომ ხელ-ახლად დაქორწინდნენ. აი რაში მდგომარეობს ეს საქმე: რუსეთის გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ამ 7—8 წლის წინად ახალგაზდა ხ. მოხიბლული და მოჯადოებულიყო არა ნაკლებ ახალგაზდა ქალის უ—'ს სილამაზითა და სიკეკლუცით. ჩქარა საქმე იქამდე მივიდა, რომ იმათ შორის ნამდვილი მიჯნურობა გაიმართა. გული გულს დაუმეგობრეს, სული სულს შეუკავშირეს და დასასრულ ჯვარი გადიწერეს კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, იმათი ბედნიერება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მალე უსიამოვნება ჩამოვარდა მათ შორის. გაუგულგრილდნენ ერთმანეთს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი და მოუხერხებელიაო, რის გამოც უმჯობესი იქნება განვქორწინდეთ და ერთმანეთს თავი დავანებოთ, ერთმანეთს აღარ დავენახვოთო. ასეც მოიქცნენ. როგორც იყო, მოახერხეს და განქორწინდნენ. ქალი პეტერბურგში დარჩა და კაცი მოსკოვს გაემგზავრა. მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს ძლიერ საჭირო საქმის გამო ხ. ისევ პეტერბურგში დაბრუნდება და თავის ნაცნობებთან შეხვდება. აღმოჩნდება, რომ იმათ ერთმანეთის სიყვარული კიდევ არ გაჰქრობიათ და არა თუ არ გაჰქრობიათ, პირიქით ახლა უფრო ძლიერად და ჭეშმარიტად უყვართ ერთმანეთი, ვიდრე წინად. ერთის სიტყვით აღარ შეუძლიათ იცოცხლონ ისე, თუ ხელ-ახლა არ დაკავშირდნენ, რის გამოც თხოულობენ, ვისთანაც ჯერ არს, რომ მოგვეცით ნება ისევ დავქორწინდეთო.

— ამ დღეებში, — როგორც „Новое Время“ ამბობს, — პეტერბურგში საფრანგეთის მხატვართ მოელიან, სხვათა შორის, ბუჰერსა და ჟერომს. საფრანგეთის მხატვარნი იმ აზრით მოდიან რუსეთში, რომ დაათვალიერონ მოძრავი და საკადემიო გამოფენა, რათა დაახლოვებით გაეცნონ რუსეთის ხელოვნებას. რუსეთის მხატვართ დიდი მზადება აქვთ ამის გამო, რომ რაც შეიძლება, დიდის თანაგრძნობითა და სიყვარულით დაუხვდნენ საფრანგეთის მხატვრებს.

— იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ქალაქს რეველში ნება დართულია გამოიცეს ყოველ თთვიური სამეურნეო ჟურნალი „პირუტყვთა მეგობარი“ (Другъ Животныхъ). რედაქტორად და გამომცემლად ამ ახალის ჟურნალისა იქნება ე. ბლოკი.

— რამდენსამე რუსეთის ინჟინერს სთხოვენ, მონაწილეობა მიიღონ საბერძნეთის რკინის გზის გაკეთებაშიო.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ, რომ ამ ხანად უარს ვაცხადებ გორის თავობის კანდიდატობაზე.

ალ. გარსევანაშვილი

### II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს კოსტანტინე კალანდარიშვილს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდა სამრევლო სკოლის მოწაფეებს დაუგზავნა ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის წლით და ორი მანეთი ფულად შემოსწირა მელნის სასყიდლად მოწაფეთათვის.

ლანჩხუთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მ. ბარამიძე

# დეპეშა

23 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ცვლილება „Черноморскаго-дунайское общество“-ს წესდებისა. საზოგადოებას ნება ეძლევა მოუმატოს თავის სათავნო ფულს 1,000,000 მან. 4000 დასამატებლის აქციის გამოცემითა, თითოსი 250 მან. ღირებულისა, თავნი ფული უნდა იყოს 2,200,000 მან. 1,900,000 აქციები სახელ-დებული უნდა იყოს და ეკუთვნოდეს მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომთა; დანარჩენები 300,000 მანათისა შეიძლება ეკუთვნოდეს იმას, ვისაც ხელში ექმნება ამ საქმისათვის საჭირო შესაკეთი საზოგადოებას უნდა შეუყიდოს ხოლოდ რუსეთის ქარხნებს. ნავთსადენისათვის საზოგადოება მიიღებს წელიწადში არა უმეტეს 112,250 მან. 60 კაპ.

რომი. იტალიის რწმუნებული ვაშინგტონში იუწყება, რომ სადიპლომატო ინციდენტი იმის გამო, რომ ხალხმა თვით განასამართლა იტალიის კაცნი ნიუ ორლეანში, გათავებულ საქმედ არ ჩაითვლება იმ დრომდე, ვიდრე შეერთებული შტატები არ გამოაცხადებენ, რომ მალე საჩივარი იქმნება დაწყებული ზემოხსენებულის ინციდენტის გამოო.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მარტი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 06 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — |
| —მეორე . . . . | 221½ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთა ბანკის ფურცელი . . . . | 216½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 102 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | 102½ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდომის საზოგადოებისა. . . . | — „ | 99 „ | — „ |


# განცხადებანი

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

ფილ-ბალახიანი ძალც ექსტრაქტი და კამფეტები

ბ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლშ.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჭლიერს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ჰ. ალურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—16)

[illegible] მე-191 №-ში.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

# გორკილი

ჩამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

სოფელ ჭანჭათს

ოზურგეთის მაზრაში ვაკეთებ ჩომიერ ფასად

ახალ -სისტემის სკებს

და

აბრეშუმის ჭიისათვის მოხერხებულ თაროებს

სკოლებს 10% დაეთმობა

წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში კურს-დამთავრებული აპოლონ წულაძე

(5—3)

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 იგნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დაახლვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მაინც არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—5)

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში, № 21.


Тифлисъ, Дов. цен. 23-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.